№ 139 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, ივნისის 24 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან- სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. ხასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვაღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოფიციალური განყოფილება

შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
		მანეთი.			
	ი) ქუთაისის საცდელი მინდორი.				
1	მინდვრის გამგე	1	3150	37800	37800
2	კანცელარიის მოხვლე	1	1085	13020	13020
3	მებაღე და მუშა (8)	9	1085	13020	117180
	სულ	11	—	—	168000
	ვ) ოზურგეთის საცდელი პლანტაცია.				
1	გამგე	1	3150	37800	37800
2	გამგის თანაშემწე (იგივე ჩაის ქარხნის გამგე)	1	3150	37800	37800
3	მეტეოროლოგი	1	3150	37800	37800
4	ნოქარი-მებაღე, მუშა და დარაჯი	13	1015	12180	158340
	სულ	16	—	—	271740
	ზ) სოხუმის საოამბაქო პლანტაცია.				
1	პლანტაციის გამგე	1	3150	37800	37800
2	ტეხნიკოსი	2	1400	16800	33600
3	დარაჯი და მეჯინიბე	2	1085	13020	26040
	სულ	5	—	—	97440
	თ) ქუთაისის საბრეშუმო პუნქტი.				
1	პუნქტის გამგე	1	3150	37800	37800
2	ინსტრუქტორი	1	1540	18480	18480
3	მეაბრეშუმე, მიკროსკოპისტი და მებაღე	3	1155	13860	41580
4	მოსამსახურე და მუშა	3	1085	13020	39060
	სულ	8	—	—	136920
	სულ საცდელ სექციას.	194	—	—	3788220
	კ) სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სექცია.				
1	სექციის გამგე	1	3500	42000	42000
2	საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
	სულ	2	—	—	66000
	ა) ტფილისის კულტურ-ტეხნიკური საშუალო სასწავლებელი.				
1	დირექტორი	1	4600	55200	55200
2	ინსპექტორი	1	3376	40512	40512
3	ზოგად განათლების საგნების მასწავლებელი.	4	1800	21600	86400
4	სპეციალ საგნების მასწავლებელი	8	1800	21600	172800
5	დამატებითი გაკვეთილებისთვის ზოგად განათლების საგნებში	40 გ.	4668	56016	56016
6	დამატებითი გაკვეთილებისთვის	98 გ.	14700	176400	176400
7	ზოგად განათლების საგნებისთვის მოწვეული მასწავლებელი (2)	15 გ.	875	10500	21000
8	სპეციალ საგნებისთვის მოწვეული მასწავლებელი (13)	209 გ.	2412	28944	376272
9	მეთვალყურე	2	1700	20400	40800
10	ლაბორანტი	2	2000	24000	48000
11	კანცელარიის გამგე	1	2000	24000	24000
12	მისი თანაშემწე	1	1700	20400	20400
13	საბჭოს მდივანი	1	200	2400	2400
14	ბიბლიოთეკის გამგე	1	200	2400	2400
15	ექიმი	1	1000	12000	12000
16	ფერშალი	1	1200	14400	14400
17	დამატებითი ჯამაგირი მეორე განყოფილებისთვის	—	430	5160	5160
18	შენობის ზედამხედველი	1	1313	15756	15756
19	შიკრიკი და მსახური	8	1225	14700	117600
	სულ	48	—	—	1287516

1920 წ. ივნისის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

გრძანება

ქალაქის მიმართ.

22 ივნისი, 1920 წ., № 7.

1.

სულ ყველა საქმეები და ქალაღლები, რომლებიც მიმართულია გარნიზონის უფროსისადმი, უნდა იგზავნებოდეს საკომენდანტო სამმართველოში.

2.

ქალაქში ხშირად მხვდებიან სამხედრო სამსახურის პირები, რომელთაც საყელო ღია აქვთ და სხვა სამხედრო ზრდილობის მოთხოვნილებასაც არ იცავენ. საკომენდატო სამმართველოს თანამდებობის პირებს უბრძანებ, ასეთ სამხედრო სამსახურის პირებთან ქუჩაზე შეხვედრისას, მოაგონონ მათ ზრდილობის მოვალეობაზე და ისინი, ვინც არ დაემორჩილებიან ამ მოთხოვნილებას, მოიწვიონ სამმართველოში.

ქალაქის კომენდანტი, გენერალი **მიქაშავიძე.**

კომენდანტის ადიუტანტი, კაპიტანი **ძიძიგური.**

რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ნებართვით გაიხსნა

საგანგო კონტორა
კავკასია და ჰერმესი

ტელეფ. 1—77. ტფილისი თავისუფლების მოედანი, (ერევნ. მოედ. სასტ. „კავკაზის ქვეშ). სატელეგრაფო მისამართი: „კავგერბანკი“.

სწარმოებს შემდეგი საბანკო ოპერაციები.

მიღება ფულისა მინაბარისა და მიმდინარე ანგარიში.
სესხი და ვექსილების ვანაღდება.
შესანახად და გადასაგზავნად.
სხვა და სხვა საკომერციო და საბირჟო მონდობილებანი.
კონტორა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე.
ყიდვა და გაყიდვა პროც. ქაღალდებისა და უცხოეთის ვალიუტისა. 1573 3—3

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება
„კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 25 ივლისს ამა წ. ქ. ტფილისში, გოგოლის ქ. № 63 საკუთარი სახლი, დილის 9 საათზე დანიშნულია

წევრთა საგანგებო კრება

განსახილველია: 1. ექვსი თვის 1919—1920 წლ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება 2. გამგეობისა და საბჭოს მოხსენება. 3. მამულის შეძენა და სარდაფის აშენება კახეთში. 4. მიმდინარე საკითხები.

1609 1—1 **გამგეობა**

ზრომის საბინისტროში

საავადმყოფო კასა.

ზრომის კომისრის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის რწმუნებულთა კრება. 1920 წლის მეორე ნახევარის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1 ივნისს წლიური კასის წევრთა რიცხვი უდრის 4500 კაცს. აქედან 40% ქალია და 60 მამაკაცი. ვანგარიშობთ რა საშუალო ხელფასს ქალებისთვის 90 მ. დღეში, უნდა ვიფიქროთ, რომ საპროცენტო გამოკლება კასაში შეიტანს 1,215,000 მან. მამაკაცთა საშუალო ხელფასის 120 მ. ანგარიშით ნახევარ წელიწადში კასაში შევა 2,430,000 მ. სულ 3,645,000 მ. ამისდა მიხედვით არის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაც. ამასთან ერთად გადიდება 720,000 მ. ეპიდემიურ ავადმყოფობის დროს. ზრომის კომისარს ეს ხარჯთ-აღრიცხვა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია და წინადადებას იძლევა დამტკიცდეს ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ დამტკიცდა დახმარების ნორმა: მშობიარობის დროს 1000 მ., დამარხვის დროს 2000 მ. დიდებისთვის და ბავშვისთვის კი 1500 მ. შემდეგ იღებენ თამაზაშვილის წინადადებას, რომ კასის ყოველივე დადგენილება ეცნობოს დამფუძ. კრების იურიდიულ კომისიას. საექიმო დახმარების შესახებ მოხენება გადაიტანეს შემდეგი სხდომისათვის.

სატარიფო პალატა.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაადგინა: იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც არ სარგებლობენ მომარაგების ფონდით მიეცეთ განსაკუთრებული საჩუქრები. გადასწყდა მიეცეთ ყოველ დღე ხელფასის 25%, მაგრამ დღეში არა უმეტეს 60 მანეთისა და არა ნაკლებ 30 მან. ან და თვეში არა ნაკლებ 900 მ. და არა უმეტეს 1,500 მ.

დამფუძნებელი კრება

22 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ექ. თაყაიშვილი.**

ქრ. შარაშიძის ახულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი დეკრეტებისა: საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში კონსტანტინეპოლის და მოსკოვის მისიების ვალების გასასტუმრებლად 388,920 მან. გადადებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის განგრძობისა; მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების საერთო შემოსავლიდან 20 პროცენტი ერობათა სასარგებლოდ გადადების შესახებ; მობილიზაციით გაწვეულ ჯარის კაცთა და გვარდიელთა ოჯახების დახმარების შესახებ და დეკრეტი გორის გარნიზონის სხვა და სხვა ადგილას დასაბინავებლად გაწეულ ხარჯების დასაფარავად 5,246,493 მან. გადადებისა.

ლ. ნათაძეს მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამუსლიმანო საქართველოს სკოლების შესანახად გაწეულ ხარჯების დასაფარავად 2,210,500 მან. გადადებისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920—1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშში სათანადო თანხის გადადებისა. მისივე მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა სამხედრო უწყების შტატის დამატების და ცვლილების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა სამსახურის ვადის გადიდებისა სამოსწავლო მცირე გუნდებში სწავლა დამთავრებულ ჯარისკაცთათვის.

მ. რუხიას მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა საასამართლოს წარმოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.

ქრ. შარაშიძის ახული მოახსენებს საბოლოო ტექსტს დეკრეტისა სამუსულმანო საქართველოს სკოლების შესანახად გაწეულ ხარჯების დასაფარავად 2,230,500 მან. გადადებისა.

მდივანი აქვეყნებს ესერების მიერ შემოტანილ შეკითხვას, რომელიც შეეხება ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციას. შემკითხველ-

არა ოფიციალური განყოფილება

თა სიტყვით იქ ადგილი აქვს ადმინისტრატორთა თვითნებობას. ესერები მოითხოვენ შეკითხვა სასწრაფოდ იქნას ცნობილი. ამის შესახებ სიტყვა ეძლევა **ლ. შენელაიას**, რომელიც მოითხოვს შეკითხვის სასწრაფოდ განხილვას.

დ. ინიაშვილი უპასუხებს რა შენგელაიას და აღნიშნავს, რომ შეკითხვაში ისეთი ფაქტები არის წამოყენებული, რასაც ესაჭიროება გამოძიება და ობექტიური შესწავლა და ამისათვის შეკითხვა მორმალურ გზით უნდა იქნას განხილული შეკითხვის სასწრაფე უარყოფილ იქნა.

საგხედრო ცნობა

მთავარი შტაბისა, ტფილისი 23 ივნისი.

22 ივნისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ვადავიდენ რა როკის უღელტეხილით მეზობლად მყოფ უღელტეხილებზე, დაიკავეს კუხისა და სხვა უღელტეხილები, რომლებზედაც მაგრდებიან.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

უცხოეთი

ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები.

კონსტანტინოპოლი. უკანსკნელ დღეებში ცხოვრება ძლიერ გაძვირდა. ბირჟაზე ოქროს ლირა გაქრა. განწყობილება გამოურკველია. დიდი კაპიტალისტები კონსტანტინოპოლიდან იტალიაში და საფრანგეთში მიდიან. ნავთსადგურში აუარებელი გემია. მანუფაქტურა, მისი ბაზარზე სიმრავლის გამო, გაიაფდა.

ვარშავა. „პოლონეთის კურიერი“ პოლონეთის ფინანსიურ ეკონომიურად გაღარიბების შესახებ ცნობებს აქვეყნებს. სხვათა შორის, ვაზეთი იტყობინება, რომ გერმანელებმა პოლონეთიდან 15 მილ. კუბ. საჟ. შეშა გაიტანესო, ესე იგი 1/5 პოლონეთის მთელი ტყის სიმდიდრისა. გატანილ იქნა აგრეთვე დიდძალი ქვა ნახშირი, ლითონი, მატარებლები, ვაგონები და სხ. ამ ჟამად პოლონეთში 1481 მაგივრად 770 მატარებელია და 42000 ვაგონის მაგივრად 15,000 საერთო ნგრევის გამო. უმუშავართა რიცხვიც გაიზარდა, მათი რიცხვი 300,000 კაცამდე ავიდა. პოლონეთის დავალიანება კატასტროფიულად იზრდება. თავის დამოუკიდებლობის პირველი წლის არსებობის განმავლობაში პოლონეთმა ვალი 150 მილ. მარკამდე აიყვანა. სახელმწიფო გასავალი 1919 წლის მეორე ნახევარში 15 მილიარდში გამოიხატა, შემოსავალი კი 3 მილიარდში. 1920 წლის 9 თვის ხარჯთ აღრიცხვა ასეთია. გასავალი დაახლოვებით 15 მილიარდი, შემოსავალი დაახლოვებით 3 მილიარდი.

ბერლინი. „რუსეთის ხმას“ მოყავს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენ პროცენტს შეადგენს სიკვდილი საბჭოთა რუსეთში მაშინ, როდესაც 1911 წელში ყოველ 1000 კაცზე კვდებოდა 21,5 კაცი და იბადებოდა 29, 5, 1918 წელში კვდებოდა 43,5 და იბადებოდა 15. 1919 წელ. კი 75 კვდებოდა და 13 იბადებოდა. ამ რიგად ყოველ 1000 კაცზე 1919 წელში 62 კაცი კვდებოდა.

მილანი. იტალიის რკინის გზელთა კავშირის ინიციატივით მილანში მოწვეულ იქნა ყველა მემარცხენე სოციალისტურ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირზე წარმოდგენელი იყო შრომის კონვენცია, სოციალისტურ პარტიის კომიტეტი, რკინის გზელთა კავშირში, მეზღვაურთა ფედარაცია და სხ. ხუთი საათის მუშაობის შემდეგ თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. ამავე დროს მიღებულ იქნა დადგენილება საომარ მასალების დასამზადებელ ფაბრიკებზე კონტროლის დაწესების შესახებ.

ბერლინი. ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენელი კაპიტანი რასი, რომელმაც ინახულა რუსეთი ჰიგიენურ-სანიტარულ მდგომარეობის გასაცნობად, ესაუბრა, მაქსიმ გორკის, რომელმაც შემდეგი განაცხადა: ჩემი თმები ყალყზე დგება, როდესაც წარმოვიდგენ იმ საშინლებას, რომელსაც მომავალი გვიმზადებს. მოსკოვი ტალახის ზღვაში არის ჩამხრჩვალი. ხალხი მოწამლულია გაფანტულ გაზეთებით. გაზაფხულზე თოვლის დადნობამ რუსეთის ბევრი ქალაქი რამდენმე კვირის განმავლობაში სიკვდილის ჭაობებად გადაქცა და ამის წინააღმდეგ ჩვენ უძლურნი ვართ. ჩვენ არა გვაქვს წამლები, მედიკამენტები, თითქმის არ გვაქვს საპონიც.

რომი. რომის პრესაში პაპის ენციკლოკაა მოთავსებული, სადაც არის მოწოდება მთელი მსოფლიო მორწმუნეთა მიმართ აპატიონ ერთმანეთს შეურაცხყოფანი და ქვეყანაზე მშვიდობიანობა დაამყარონ, პაპა ყველას შეეკავშირებისაკენ მოუწოდებს. პაპა ევედრება სახელმწიფოთა მეთაურებს ხელი შეუწყონ მას მეგობრულ დამოკიდებულების და საერთაშორისო ცხოვრების აღდგენაში. ენციკლიკა თავდება ყველა ხალხისადმი ერთ კავშირში გაერთიანების მოწოდებით, რათა ნამდვილი მშვიდობიანობა დადგეს, რომელიც მთელ ქვეყნიერებას ასე ენატრება.

პარიზი. პარიზში გენ. ვრანგელის დელეგაცია მოვიდა. დელეგაცია მილიერანმა მიიღო.

ლონდონი. სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელიც ამ ჟამად ლონდონში იმყოფება, მიმართა ხალხთა ლიგას სპარსეთის მთავრობის სახელით თხოვნით, მიიღოს ზომები და დაიცვას სპარსეთი ბალშევიკების დაპყრობისაგან.

ციურიხი. მთელ შვეიცარიაში რეფერენდუმი მოხდა ხალხთა ლიგასთან დამოკიდებულების საკითხის შესახებ. შვეიცარია 413 ათასი ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 321 ათასი ხმისა ხალხთა ლიგას შეუერთდა. ხალხთა ლიგასთან შეერთების კანონ-პროექტის დიდი ოპოზიციით შეხვდენ სამხედრო სოციალისტური და კათოლიკური პარტიები. გერმანელი კანტონების ციურიხი, ბაზელი და ხალხთა ლიგის წინააღმდეგ წავიდენ, ლათინური კანტონები კი დიდი უმრავლესობით ხალხთა ლიგასთან შეერთებას მიემხრენ.

ქაირი. პოლიტიკური მდგომარეობა გამოურკვეველია, ინგლისმა ეხლახან დაბადებული სულთანის შვილი ტახტის მემკვიდრეთ იცნო. ეგვიპტის დელეგაციამ ინგლისის წინააღმდეგ კატეგორიული პროტესტი განაცხადა. ეგვიპტის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის გამო გახშირდა ინგლისელებზე თავდასხმა. უკანასკნელ კვირის განმავლობაში რამდენიმე ინგლისის ოფიცერი ქაირის ქუჩებზე მკვდარი იპოვეს.

პარიზი. უკრაინის ეროვნულმა დელეგაციამ პროტესტი განაცხადა პოლონეთის მთავრობის მიერ პეტლიურასთან საიდუმლო ხელშეკრულების დადების გამო, რომლის ძალითაც პოდოლის გუბერნიის ნაწილი პოლონეთს უნდა გადაეცეს.

რომი. იტალიის საღამოს კურიერს პარიზიდან ატყობინებენ, რომ აზერბეიჯანში ბოლშევიკების გამარჯვების და საქართველოსთან ბოლშევიკების ზავის დადების გამო, საფრანგეთმა შესცვალა თავისი პოლიტიკა ოსმალეთის საკითხშიო. განზრახულია ინგლისზე ზეგავლენის მოხდენა იმ მიზნით, რომ აიძულონ იგი საზავო ხელშეკრულებაში ოსმალეთის სასარგებლოდ ცვლილებები შეიტანონ და აგრეთვე ზოგიერთი კომპენსაციის მიცემა, რომ ამ გზით შეუშალონ ხელი ოსმალეთის ბოლშევიკებთან შეთანხმებას.

ლიონი. გაზეთებში გამოქვეყნებულმა ლორდ კერზონისა და სერ რობერტ სესილის შორის მიწერ-მოწერამ რუსეთის საკითხის შესახებ არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია. სერ რობერტ სესილი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ინგლისის მთავრობამ არ მიმართა წინადადებით ხალხთა ლიგას, რომ უკანასკნელს მიეღო ზომები პოლონეთის შეტევის შესაჩერებლად. პოლონეთის შეტევა არაფრით არ გამართლდება, ვინაიდან მან საზავო მოლაპარაკება სრულიად უმიზეზოდ შესწყვიტაო. ლორდ კერზონი, პირ იქით, პოლონეთის შეტევის საჭიროებას აღნიშნავს, ვინაიდან მის საზღვარზე საგრძნობი ბოლშევიკების ძალები, ზარბაზნებით და სხვა საომარ მასალით იკრიბებოდაო. ლორდ კერზონი ფიქრობს, რომ პოლონეთის შეტევა ფაქტიურად არის შეუჩერებელ ომის ერი ფაზა და ხალხთა ლიგას არ შეეძლო, რათქმა უნდა, შიგ ჩარეოდა, ვინაიდან იგი საბჭოთა რუსეთში არავითარ ავტორიტეტით არ სარგებლობსო.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

ორშაბათს ბულონის კონფერენციაზე იხილავდენ გერმანიის ვალის ფინანსიურ და განიარაღ ბის საკითხს. აღმოსავლეთის და რუსეთის პოლიტიკურ საკითხებს ამ დღეებში განიხილავენ.

გაზეთ „ტაიმსი“-ს ცნობით რუანდას მხარე, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარეობს, და რომელიც გერმანიის მფლობელობაში იყო, ბელგიას გადაეცემა, მხოლოდ ქაიროში მიმავალი რკინის გზა ინგლისელების ხელში დარჩება.

მარსელში საქონლის ფასები ძირს იწევს, უკანასკნელ კვირაში პირველ ხარისხის 100 კილოს ხორცში 725—790 ფრანკს იხდიდენ, მეორე ხარისხში (დამახინჯებულია) პირველ ხარისხის ცხვრის ხორცში 875—1000 ფრანკს, მეორე ხარისხში 750—875 ფრნ. 875—1000 მეორე ხარისხში 800—875 მან. მიმდინარე კვირაში. 100 კილო პირველ ხარისხის ხორცი 650—700 ფრ. ღირდა, მეორე ხარისხის 600—750 ფრანკი, პირველ ხარისხის ცხვრის ხორცი 750—850 ფრანკი პირველი ხარისხის 650—750 ფრანკი. ხბოს ხორცი პირველი ხარისხის 800—900 მან. მეორე ხარისხის 700—800 ფრანკამდის.

თანახმად 1918 წლის 4 მაისის კანონისა მთავრობამ გახსნა 100 მილ. ფრან. კრედიტი, რომელიც დანიშნულია იმ სოფლის მესაკუთრეზე და საზოგადოებებზე გრძელ ვადიან სესხის მისაცემად, რომელთაც განზრახვა აქვთ დაიწყონ დატოვებულ მიწების დამუშავება.

1920 წლის 31 მაისისთვის ამ კრედიტის მდგომარეობა ასეთი იყო. დარიგებულია: 91209366 ფრანკი 1450 სესხის სახით 168132 გეკტ. მიწის დასამუშავებლად ამ 3168 სესხიდან 1450 ლტოლვილებს ეკუთვნის განთავისუფლებულ ოლქებს—60880, 998 ფრანკ. ამავე დროისთვის დაბრუნებულია 4395612 ფრანკ.

„პტი ჟურნალი“ სწერს, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გერმანიის განიარაღების საკითხს ბოლო მოუღონ. მარშალ ფოშის და უილსონის შეხედულებები სავსებით მოწონებული იქნა. გერმანიის თხოვნა მუდმივი ჯარის 200000 კაცამდე გადიდების შესახებ უარყვეს: სამხედრო მასალა განადგურებული იქნება და პირველ ყოვლისა გერმანიის ზარბაზნები.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ დიდმა სახელმწიფოებმა სპაში მომხდარ კონფერენციის შემდეგ დაადგინეს: იქნენ წარმომადგენელნი გერმანიაში არა რწმუნებულების არამედ ელჩების სახით.

ეროვნული კრების თავმჯდომარემ ფერენბახმა კანცლერის პოსტი მიიღო. ფერენბახის კაბინეტის პერსონალი ასეთია: გარეშე საქმეთა მინისტრი ფონ-სიმონსი, შინაგან საქმეთა—კოხი, სამხედრო—ვესლერი, იუსტიციის გაინცე. ფინანსების (გამოტოვებულია) ფოსტის—გისბერტგსი.

საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრმა გუშინ მრავალი ტორფილი ადგილები ინახულა საფრანგეთში არსებულ ტორფის რაოდენობის ეკვივალენტი 200 მილ. ტონ ქვანახშირს უდის. მინისტრმა აღუთქვა დახმარება ტროფის გასაღებაში და ნახშირის ეროვნულ ბიუროს შესაფერი განკარგულებაში მისცა რათა ტორფიც ისე იქნეს განაწილებული დეპარტამენტებს შორის, როგორც ნახშირი.

თანახმად პრესის ცნობისა მიღებულია ვენიზელოსის წინადადება საბერძნეთის ჯარის თანამშრომლობის შესახებ ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების დადების დროს. „პტი პარიზიენი“ ამის გამო შემდეგ განმარტებას იძლევა: ვენიზელოსი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ საბერძნეთის ჯარს შეუძლია ოსმალეთის წინააღმდეგობა გასტეხოს. ლოიდ ჯორჯი მოითხოვდა ამ საკითხის სასწრაფო მოწესრიგებას, რომელსაც წმინდა სამხედრო ხასიათი აქვს. „პტი პარიზიენი“ უმატებს, რომ მილიერანმა, მიიღო რა მხედველობაში ამ წინადადების სარგებლობა თავისი შენიშვნები გაუკეთა. საბოლოოდ საკითხი ბულონში გადაწყდება“. „მატენი“ უარყოფს თითქო საბერძნეთის მთავრობა სამხედრო თანამშრომლობისათვის ტერიტორიულ და ფინანსიურ კომპენსენციას თხოულობდეს.

„პტი პარიზიენის“ ცნობით იმ არგუმენტებს, რომლებიც ვენიზელოსმა წამოაყენა, კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

მალტიდან მოსული დეპეშა იტყობინება კონსტანტინოპოლში ქვეითი ჯარის ბატალიონის, ერთი კრეისერისა და ყველა იქ მყოფ კონტრ-ნაღმოსანთა გაგზავნის შესახებ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის დაარსების გამო ამერიკის დელეგაციამ, რომელიც მრეწველების, ჟურნალისტების და ფინანსისტებისაგან შესდგებოდა, ორშაბათს მილი ინახულა. მათ შეაფასეს მთელი ზარალი, რომელიც გერმანიამ საფრანგეთის მრეწველობას მიაყენა ჩრდილო დეპარტამენტში. ფრედ ხორსკილმა განაცხადა: დიდი იყო ამერიკელების აღფრთოვანება ფრანგების იმ ვაჟკაცობისა და რაინდობით, რომელიც მათ ომის დროს გამოიჩინეს, მაგრამ უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე ის შრომა, რომელსაც აწარმოებენ ფრანგები ქვეყნის აღდგენის საქმეში. შეერთ. შტატების მცხოვრებლებმა ნაკლებათ იციან, თუ როგორია ეს ძალათა დაძაბვა საფრანგეთში. საფრანგეთმა დაიმსახურა დახმარება და ჩვენ ამ მიზნით დავიწყებთ კამპანიასაო“.

მომარაგების მინისტრის მოხსენება.

მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ივ. ჭავჭანიძემ ვრცელი წერილობითი მოხსენება წარუდგინა ეკონომიურ საბჭოს და მთავრობის თავმჯდომარეს სასწრაფო ფინანსიურ ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენებაში ჩამოთვლილია ჩვენი ბონების კურსის დაცემის მიზეზები,

მომხსენებელის აზრით ჩვენი ბონების კურსის გასაუმჯობესებლათ საჭიროა დაუყონებლივ იქნეს მიღებული შემდეგი ზომები:

ა) სასტიკათ აეკრძალოს ბანკებს საქონლით და უცხო ვალიუტით ვაჭრობა: დაევალოთ სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ აწარმოონ ნორმალური საკრედიტო ოპერაციები ნორმალური პროცენტის აღებით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ბანკებს, რომლებიც ყოფილ რუსეთის ბანკების განყოფილებებათ ირიცხებიან, ვინაიდან არავინ უწყის არსებობს თუ არა მათი გამგეობები.

ბ) დაუყონებლივ და მოურიდებლათ გაიწმინდოს ერევნის მოედანი და სასტუმროები იმ მოხეტიალე სპეკულიანტებისაგან, რომელთაც არავითარი სავაჭრო ბინები არა აქვთ, არავითარ სავაჭრო და სხვა სახელმწიფო გადასახადებს არ იხდიან, ხოლო ათასგვარ კომბინაციებით საქონელს აძვირებენ და ჩვენი ბონების კურსს ცემენ.

გ) ერთხელ და სამუდამოთ უნდა შემოვიღოთ, რომ ყველა იმ საქონლის თუ ნედლი მასალის, რომლის რეალიზაცია მთავრობის ხელშია, აგრეთვე მარგანეცის ანგარიშებს უცხოელებს ვასწორებიებდეთ ჩვენი ბონებით ან ჩვენი სახელმწიფო ბანკის ჩეკებით; უცხო ვალიუტით კი ერთი კაპიკიც არ უნდა იქნეს მიღებული.

დ) უცხო ვალიუტის მიღების და დახურვების უფლება უნდა ქონდეს მხოლოდ სახელმწიფო ბანკს და მის განყოფილებებს.

ე) დაუყონებლივ უნდა აიკრძალოს ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში ყველა არაპირველ მოთხოვნილების საგნების შემოტანა.

ვ) მთავრობამ დაუყონებლივ უნდა შეუდგეს სამზადისს ჩვენი ქვეყნის იმპორტის თავის ხელში ასაღებათ (რა თქმა უნდა ეგ არ გულისხმობს ჯერჯ ინიციატივის უარყოფას); ამ საქმის უკეთ მოსაწყობათ გამოყენებული უნდა იქნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: ერობები, ქალაქები და კოოპერატივები.

მომხსენებელი იმედოვნებს, რომ ამ ზომების გატარება ხელს შეუწყობს ჩვენი ბონების კურსის სწრაფათ აწევას.

ახალი ამბები

✦ სოციალური დახმარება. მცხოვრებთა სოციალური დახმარების ტფილისის ცენტრალურმა საზოგადოებამ დაადგინა ყოველთვიურად 26 რიცხვში ლარიბთა სასარგებლოდ ფულის შეკრება გამართოს. ამ დღისათვის გამოვა გაზეთი სათაურით „სოციალური დახმარება“. მოწყობილი იქნება ყულაბებით ფულის შეკრება და დაწესებულებათა ხელმოსაწერ ფურცლებით დავლა, საღამოობით კონცერტები გაიმართება, რომლის წმინდა შემოსავალი სოციალური დახმარების ცენტრალურ საზოგადოების კასაში შევა.

✦ ავადმყოფობა. ქალაქის მედიკო-სანიტარულ ბიუროს ცნობით ტფილისში გადამდები ავადმყოფობანი ძლიერ შემცირდა. 7 ივნისიდან—15 ივნისამდე სულ ჩანიშნულია მუცლის ტიფით ავადმყოფი—1. შებრუნებითი ტიფით—2, წითელათი—5, ყელჭირვებით—1, 15 ივნისისთვის ქალაქის სავაათმყოფოში სულ მხოლოდ 23 ავათმყოფი დარჩა.

სენატორის რევიზია. დუშეთის მაზრიდან დაბრუნდა სენატორი ი. როინიშვილი, რომელსაც დავალებული აქვს რევიზიის მოხდენა თუ როგორ მიმდინარეობს ახალგაზრდა ჯარისკაცთა და სათადარიგოთა მობილიზაცია. სენატორ როინიშვილმა უკვე დაასრულა რევიზია კახეთში, დასავლეთ საქართველოში და ტფილისის მაზრის ნაწილში. შემდეგ როინიშვილმა უნდა გამოიკვლიოს ბორჩალოს და ახალციხის მაზრები. დასასრულ

კი ბორჯომი და ხაშური, როდესაც რევიზიას დაასრულებს სენატორი როინიშვილი რევიზიის შესახებ სპეციალურ მრხსენებას შეადგენს.

✦ სომხეთის დამოუკიდებლობის ხესხი. სომხეთის მისიამ ტფილისში ბათომის გენერალურ კონსულისაგან დეპეშა მიიღო, სადაც იგი იუწყება, რომ იქ დაარსდა ფინანსიური კომისია სომხეთის დამოუკიდებლობის სესხზე განაწილების ხელის შესაწყობათ. ბათომის კონსული იუწყება, რომ ბათომში მოვიდა სომხეთის მთავრობის საგანგებო რწმუნებული ხატისიანი, რომელსაც შეხვდა სომხეთში ინგლისის კომისრად დანიშნული კაპიტანი გრესოლისი, რომელმაც ნება დართო ბათომის ოლქის მიდამოებში სესხზე ხელის მოწერისა.

✦ საღერბო მარკა. გადასახადთა შემკრებმა მართველობამ შეუკვეთა საღერბო მარკები 10 კაპეიკიანამდან 50 მანეთიანამდე. საერთოდ 35 მილიონ მანეთის ღირებულებისა 1919 წელში სულ დამზადებული იყო 16 მილიონი მანეთის მარკა. ეხლა, სხვა და სხვა დაწესებულებების მოქმედების განვითარების გამო საჭიროა 2-ჯერ მეტი.

✦ ყოველწლიური სტატისტიკური ანგარიში. სტატისტიკური კომიტეტი სტატისტიკურ ყოველწლიური ანგარიშის გამოცემას შეუდგა. ამ ყოველწლიურ ანგარიშში მეტეოროლოგიური და სტატისტიკური განყოფილება იქნება, რომელიც მისცემს ახალ მასალას სასოფლო მეურნეობის ყოველი დარგის მდგომარეობის შესახებ, ე. ი. მესაქონლეობის მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, მეღვინეობის და მეთამბაქოების შესახებ. ამავე ყოველ წლიურ ანგარიშში იქნება განყოფილება, სადაც მკითხველი სხვა და სხვა ცნობებს მიიღებს. მრეწველობის სტატისტიკურ განყოფილებაში დამუშავებულ იქნება ცნობები ქვანახშირის და მარგანეცის წარმოების და მათი რკინის გზებზე გადატანის შესახებ. ყოველწლიურ ანგარიშში იქნება სია საქართველოს დასახლებულ ადგილის მცხოვრებთა რიცხვის და აგრეთვე სამკურნალო წყლების და კურორტების აღნიშვნით.

✦ კოოპერატიული კანონი. ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობაზე იმუშავებენ საერთო კოოპერატიული კანონის პროექტს, რომელიც კოოპერაციის ცხოვრებას მოაწესრიგებს. უკანასკნელ ხანამდე მოქმედებს დროებითი მთავრობის 1917 წ. 20 მარტის კანონი. ეხლა ამ კანონს იხილავენ დეტალურად. კანონის შეცვლა უმეტეს ნაწილად დასახულია კოოპერატივის განსაზღვრასა და რეგისტრაციის წესრიგში. ამასთან ერთად კოოპერატივთა ყრილობა თათბირობს. საქართველოში მომხმარებელი კოოპერაციის მომავალ არსებობის შესახებ.

✦ ტფილისის კოოპერატივი. ტფილისის კოოპერატივის წევრთა საერთო კრებაზე დამტკიცდა ხარჯთ-აღრიცვა და დაზღვევის ფონდის ახალი კრედიტი. ამავე კრებაზე გადასწყდა ახალი პაის რაოდენობა 200 მანეთი.

✦ აფხაზეთში. შრომის სამინისტრო იღებს ზომებს აფხაზეთში სახელმწიფო მამულებში მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფიქრობენ, მუშებს მიაწოდონ იაფი პური და შაქარი.

✦ აფთიაქებში მომუშავეთა კავშირში. აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის სასწრაფო სხდომაზე 20 ივნისს, კავშირის გამგეობას უნდობლობა გამოუცხადეს, ვინაიდან უკანასკნელმა შეაჩერა იმ რეზოლიუციის სისრულეში მოყვანა, რომელიც ფრონტის დახმარების აღმოჩენას ეხებოდა, საერთო კრებაზე ახალი გამგეობის არჩევა გადაწყდა, რომელსაც პირველ ყოვლისა 18 ივნისს გამოტანილ რეზოლიუციის ასრულება დაევალება, ე. ი. ფრონტის სასარგებლოდ შეწირულების შეგროვება. დასასრულ გადაწყდა ყველა საქმეები სახელმწიფო ენაზე აწარმოონ.

✦ პურის მცხობელთა თათბირი. ამ დღეებში ტფილისის პურის მცხობელთა სპეციალური თათბირი შესდგა, რომელიც მოწვეული იყო ქალაქში პურის საქმის მოწესრიგების საკითხის შესახებ. თათბირს დაესწრო აგრეთვე ქალაქის საბჭოს წევრი კ. ფანიევი. გადასწყდა სასწრაფო ზომების მიღება ქალაქის თვითმართველობასთან ერთად პურის შესასყიდლად და პურის ბიუროს სასწრაფოდ მოწყობა. საკითხის დეტალურ დასამუშავებლად და მის ცხოვრებაში გასატარებლად სპეციალური კომისია იქნა აღიარებული.

✦ გარე უბნებში. ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ქალაქის გარე უბნებში ელექტრონულ განათების მოწყობა. სახელდობრ საბურთალოში, ნაძალადევში და ახალშენში. ამ მიზნისათვის 620,000 მან. არის გადადებული.

✦ სოჭი. კერძო ვაჭრობა აკრძალულია. საშინელი სიძვირეა. ხილს მალულად ჰყიდიან. ჯამაგირები 12—25 ათასი მანეთით განისაზღვრება. ხმარებაშია დონის და სოჭის ბონები და მოხალისეთა ფულია. ტუაპსე-სოჭის რკინის გზაზე გზის გაფუჭების გამო მოძრაობა შეჩერებულია.

✦ ადლერი. საშინელი სიძვირეა. არ არის არც სიმინდის ფქვილი და არც მჭადი. თეთრ პურს უმნიშვნელო რაოდენობისას იძლევიან ბარათებით. საქონლის უქონლობის გამო კოპერატივები დაკეტილია. ძლიერ სიმცირეა მარილის. გაგრისაკენ გზა დაკეტილია და მგზავრობა აკრძალულია.

საუგარი საგჯოლია რუსეთის წარმომადგენელ გ. კიროვიან

საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგელმა საქართველოში ს. მ. კიროვმა საქართველოს დეპეშათა საგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა.

ჩემი მისია საქართველოში მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის კეთილმეზობლური განწყობილება დამტკიცე მშვიდობიანობა დამყარდეს. ამიტომ ჩემ უპირველეს მოვალეობად საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების ორივე ქვეყნებიდან არჩეულ წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიის საშუალებით, განხორციელება მიმაჩნია. საკონტროლო კომისიის პუნქტები აღნიშნულია საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლში, რომელიც ეხება დაკავებულ მოხალისეებს და მათ მიერ ჩაბარებულ იარაღს. საკონტროლო კომისიასაც შერეული ხასიათი ექნება. მის შემდგენლობაში შევა საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლები. შემდეგ შეეხო რა სამხრეთ ოსეთში მომხდარ ამბებს ს. კიროვმა ხაზი გაუსვა იმ ვარემოებას, რომ მართალია რუსეთი თანახმაა ცალკე ერების დამოუკიდებლობისა, მაგრამ იგი შორსაა იმ აზრიდან, რომ ხელი შეუწყოს რომელიმე ერს იარაღით ბრძოლაში. პირიქით საბჭოთა რუსეთი ღონეს ღებულობდა, რომ მშვიდობიანი გზით შეეჩერებინა შეტაკებანი სამხრეთ ოსეთში. კიროვი ამბობს, რომ ბაქოში ყოფნის დროს მან ორჯონიკიძესთან ერთად წინადადება მისცა საქართველოს წარმომადგენელს აზერბეიჯანში აღშიბაიას, რომ ისინი მზათ არიან თავის დახმარება აღმოუჩინონ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში.

ბ. კიროვი განსაკუთრებით დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა რუსეთის საქართველოში ეკონომიურ დაინტერესების საკითხზე. კიროვი ლაპარაკობს, რომ რუსეთისათვის საქართველოს ნავთსადგურების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს გადიდებული. ამ ჟამად რუსეთის ეკონომიური ბლოკადა ესტონიასთან დადებულ ხელშეკრულებისა და ლონდონში კრასინის მოლაპარაკების წყალობით ძლიერ დასუსტდა, მაგრამ, რასაკვირველია რუსეთისათვის საქართველოში იხსნება ფრიად მნიშვნელოვანი ეკონომიური პერსპექტივები, რაც მხოლოდ აძლიერებს რუსეთის მისწრაფებას მტკიცე ზავი დაამყაროს საქართველოსთან. შეეხო რა საბჭოთა რუსეთში საერთაშორისო მდგომარეობას, კიროვმა აღნიშნა, რომ ეს მდგომარეობა არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. კრასინის მოლაპარაკება ლონდონში მშვიდობიან გადაჭრას უახლოვდება. ცდა, დაეღრჩოთ საბჭოთა მთავრობა, დაიმსხვრა საბჭოთა ძალაუფლების სიმაგრეზე. პოლონეთის შეტევა, როგორც გენერალ ვრანგელის შეტევა, საბჭოთა მთავრობას არ აშინებს. ბ-ნმა კიროვმა ხაზი გაუსვა, რომ მას აქვს საფუძველი განაცხადოს, რომ პოლონეთის ფრონტზე ინიციატივა წითლების ხელში გადავიდა. პოლონეთის ფრონტის ლიკვიდაცია მალე მოხდება, ისე როგორც ვრანგელის შეტევა. დაუბრუნდა რა ისევ მოსკოვის აღმოსავლეთის პოლიტიკას, კიროვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს საქართველო გამოიყენოს, როგორც კარები აღმოსავლეთისაკენ„ საბჭოთა მთავრობას თავისი სხვა გზები აქვსო.

პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს კიროვმა დამატებით შემდეგი განაცხადა: საქართველოში ჩემი უმთავრესი მიზანია ხელშეკრულ სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლურ და მეგობრულ დამოკიდებულების დამყარება. რუსეთის მხრივ ამისათვის ყოველგვარი ზომა იქნება მიღებული, რადგანაც ჩვენ გვაქვს გულწრფელი სურვილი, რომ კეთილი მისწრაფებანი სინამდვილეთ ვაქციოთ. რაც უფრო ნაკლები იქნება ჩვენს მუშაობაში ყოველგვარ მოულოდნელობა, მით უფრო ჩქარა მივაღწევთ ჩვენ მიზანს. მოსკოვის მთავრობამ ზავი შეკრა საქართველოსთან არა სათვალთმაქცოთ და არა იმიტომ, რომ ევროპისათვის ეჩვენებია პატარა ერებთან თავისი დამოკიდებულება. 7 ივნისის აქტი ხელმოწერილია იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ზავი საქართველოსა და რუსეთს შორის. მე იმედი მაქვს, რომ მომავალში ვერავითარ დაბრკოლებას ვერ შევხვდებით საზავო ხელშეკრულობის ცხოვრებაში გატარების დროს.

ბათუმში

გენ. ვრანგელის ბრძანებით პირველ ივლისიდან სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებმაც პენსია დაიმსახურეს, ახალი ჯამაგირები იქნება დაწესებული. ეს ბრძანება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც უფლება აქვთ პენსიაზე ორდერებისა და წარმატების ნიშნების ქონების გამო. დაწესებულია შემდეგი ნორმა: ის პირნი, ვინც 600 მან. იღებდა, 1200 მან. იღებს—601 მან.—დენ. 1200 მან. თუ პენსია 55 ჯერ დიდდება, 1201 მან.—1800 მან. 40 ჯერ 2400 მანეთამდე 30 ჯერ, 3000 მანეთამდე 25 ჯერ, 4800 მან. 23 ჯერ, 6000 მანეთამდე 22 ჯერ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

წევრთა წლიური კრება.

ორშაბათს, 21 ივნისს ქალთა საბებიო ინსტიტუტში შესდგა მეორე სხდომა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა. თავმჯდომარეობდა ბ-ნ ნ. თავდგირიძე, მდივნობდა ბ-ნ კ. აბაშიძე. მეორე სხდომაზე გამოცხადდა ასამდე წევრი. კრებამ ამ დღეს განიხილა საზოგადოების 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც, მთავარ სამმართველოს სახელით მოახსენა სხდომას გამგეობის წევრმა ი. ი. ქუთათელაძემ. მცირე კამათის შემდეგ, ხარჯთ-აღრიცხვა ერთხმად იქნა დამტკიცებული. მოსმენილ იქმნა და დამტკიცებულ კრების მიერ მცირე დამატებით აგრეთვე მოხსენება საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლების შესწორებისა და სამი ახალი მუხლის წესდებაში შეტანის შესახებ.

მთავარ სამართველოს სახელით, გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნ მ. ფ. მგალობლიშვილი წინადადებას აძლევს კრებას, რათა მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ ნ. ნ. ჟორდანია, როგორც მხურვალე მონაწილე და დამხმარე საქართველოს წითელი ჯვრის საქმეთა დღიდან ამ საზოგადოების დაარსებისა, არჩეულ იქმნას საპატიო წევრად. კრება ფეხზე ადგომით და ოვაციით ხვდება ამ წინადადებას და ერთხმად ირჩევს მას თავის საზოგადოების საპატიო წევრად. დასასრულ ფარული კენჭის ყრით არჩეული იქმნენ ოთხი ახალი წევრი მთავარ სამმართველოსი, სამი მისი კანდიდატი, სა-რევიზიო კომისია და საწესდებო კომისია:

მთავარ სამმართველოში მოხვდნენ: ექ. ნ. მელიქიშვილი, ი. ი. ქუთათელაძე, გ. ნ. დიასამიძე და გ. დ. მამამთავრიშვილი; მათ კანდიდატებათ: ექ. ი. ელიაშვილი, ექ. ვ. ბერეჟიანი და ექ. ქუთათელაძე, მათ კანდიდატებათ: ნ. ყ. თავდგირიძე და ექ. კ. მეუნარგია. საწესდებო კომისიაში: ექ. ვ. ლამბაშიძე, ექ. შ. მიქელაძე, ალ. წერეთელი, რ. ლომინაძე და ექ. მამულია.

მუნიციპალ. ცხოვრება

ოზურგეთის ქალაქის საბჭოში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

— დაევალოს ა. კალანდაძეს გადაიტანოს პარკი სხვა ადგილასკომისიის მიერ ნაჩვენებ ვადაში, თუ მის, კალანდაძის, ფარდულში პარკის მოვლა და გახმობა ჩააყენებს ქალაქის მცხოვრებთ ანტისანიტარულ მდგომარეობაში და ამას დაადასტურებს სანიტარული კომისია.

— ნება მიეცეს სამსონ ჯაყელს ააგოს თავისუფლების ბაღში ხის შენობა საზაფხულო ბუფეტისათვის და ისარგებლოს მით უსასყიდლოდ 6 წლის განმავლობაში, რის შემდეგ ეს შენობა რჩება ქალაქს სრულიად უსასყიდლოდ. მხოლოდ საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, რომ შენობა აგებულ იქნას თანახმად უკვე შემდგარი გეგმისა, სავარგისი მასალისაგან და მუშაობა სწარმოებდეს ტეხნიკურ განყოფილების ხელმძღვანელობით.

— გადაიდოს 42,000 მანეთი მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის.

— საბჭო უკამათოდ ამტკიცებს საჯარო ვაჭრობას, რომელიც მოხდა 29 მაისს და რომლითაც გაიცა ამ წლის დამლევამდე ორი მოძრავი ბუდკის დადგმის უფლება პირველ სავაჭრო მოედანზე. პირველი არსენ იმედაშვილზე 2550 მან. და მეორე კოწია დემიდოვზე ისევ 2550 მანეთად მთელი ხნის განმავლობაში ე. ი. შვიდ თვეს.

ერობა

გურიის ერობაში.

მიმდინარე წლის მარტის უკანასკნელ რიცხვებში ჩოხატაურის საერობო გიმნაზიაში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა გაფიცვას რაღაც უბრალო შემთხვევის გამო. ერობის გამგეობამ გამოიძია მიზეზები გაფიცვისა და, მოისმინა რა დასკვნა გამომძიებელი კომისიისა ამ საქმის შესახებ, დაადგინა: „მოისმინა რა მოხსენება საგამომძიებლო კომისიისა ჩოხატაურის საერობო გიმნაზიაში ა. წ. მარტის უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ მოწაფეთა გაფიცვის შესახებ, ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა სცნობს, რომ გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი ი. ციწკაძე და პედაგოგიური საბჭო ვერ იდგნენ თავიანთ დანიშნულებათა სიმაღლეზე; გარდა ამისა დირექტორმა არ გამოიჩინა ადმინისტრატიული წინდახედულება, რაც აუცილებელია სასწავლებლის გამგისათვის, რის გამოც ერობის გამგეობა გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას“.

ხ—ნ.

ნავთის ნაწარმოებთა აღნუსხვა

თანახმათ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებისა ბენზინი და ნავთის ყველა ნაწარმოებნი ქ. ტფილისის ტერიტორიაზე მიღებულია ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების მიერ აღნუსხვისათვის.

ის პირნი და დაწესებულებანი რომელნიც გადამალავენ აღნიშნულ ნაწარმოებთ სასურსათო განყოფილების ნებადაურთველად გასასყიდათ, სასტიკად დაისაჯებიან.

განცხადება ზემოხსენებულ ნაწარმოებთა აღნუსხვისათვის მისაღებათ სასურსათო განყოფილების მიერ (სათბობ მასალის ბიურო) მიიღება ყოველ დღე 8-დან 2 საათამდე. (შტაბის და დამფუძნ. კრ. ქ. კუთხე).

ფრონტისათვის

ლია ბარათი მეშვიდე პოლკის საყურადღებოდ

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ამით აცნობებს მეშვიდე პოლკის შემადგენლობას, რომ კომიტეტში იმ მიმართულებით, სადაც მეშვიდე პოლკი იდგა, საჩუქრები გაიგზავნა მეომართა იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც მას ეცნობა გენერალურ შტაბისაგან, რომელმაც ვერ ივარაუდა წინდიწინ, რომ მეშვიდე პოლკი ერთი ადგილიდან მეორეზე იქნება გადასროლილი. ხოლო საჩუქრები გაეგზავნა მეომართა იმ რიცხვს, რომელიც მეშვიდე პოლკის მოსვლამდის იმყოფებოდენ ფრონტზე, რის ოფიციალური საბუთები საქმეებში აქვს კომიტეტს.

ხოლო რაც შეეხება მეშვიდე პოლკს—მისი ახლანდელი გადაბანაკება გამორკვეულ იქნება დადაუყონებლივ საჩუქრების დანაკლისს მიიღებენ, მეომართა რაოდენობის მიხედვით.

ფრონტის დამხმარე მთავარი **კომიტეტი**

მილიციაში

21 ივნისს, სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო არშაკ გევორქის ძე აგაბეგოვი სახელწოდებით „დენიკინი“, რომელმაც ს. გ. ამირზანიანცის საკომისიო მაღაზიიდან მოიპარა ნივთები ღირებული 65,000 მან. შეპყრობილია აგრეთვე აღნიშნულ ქურდობაში მონაწილეობის მიმღები ალექსანდრე ი. კრიუჩკოვი. ნივთების საძებნათ მიღებულია ზომები.

21 ივნისს, მილიციამ შეიპყრო გაზ. „მშაკის“ რედაქციაში მოსამსახურე ვართან სარქისის ძე ოგანესიანცი, რომელსაც ბრალი ედება რედაქციიდან წიგნების მოპარვაში 5 ათასი მან. ოგანესიანცი დანაშაულში გამოტყდა. წიგნები რედაქციას ჩაბარდა. ოგანესიანცი გაანთავისუფლეს რედაქტორის თავ-

დებობით. საქმე გადაეცა მომრიგებელ მოსამართლეს.

—29 მაისს ალექსანდრა ავალაროვას ბინიდან მოიპარეს ძვირფასი ნივთები ღირებული ერთ მილიონ მანეთად. მილიციამ გამოარკვია, რომ ნივთები მოუპარავს ცნობილ ქურდს ვასილ პეტროვს, რომელიც ქურდობაში გამოტყდა. ნივთების ნაწილები აღმოჩნდა და პატრონს ჩაბარდა, შეპყრობილია აგრეთვე ამ ქურდობაში მონაწილეობის მიმღები ცატუროვი.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ ქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადო მოქ. იპ. ჟორჟოლიანს, რომელმაც, გარდა მრავალი დახმარებისა, შემოსწირა ჭყონაგვრის (გურია) ე. ნინოშვილის სახელობის წიგნთ-საცავ საშკითხველოს გაზეთების გამოსაწერად 600 მ.

გამგეობის თავმჯდ. სტ. ნიკოლაიშვილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქ. ტფილისის მე-6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მოპასუხე ავეტიკ იაგორის ძე მანანოვს, რომელსაც ქალაქის გამგეობა უჩივის 300 მან. თუ მოპასუხე მანანოვი არ გამოცხადდა პირადათ ან ვექილის სახით, 4 თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, საქმე გაირჩევა სამ. კან. კრებ. 320 მუხ. ძალით. 1030 1—1

ონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის გუბერნისა თანახმათ 1041 მუხლ. სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდებისა იწვევს მემკვიდრეებს მცხოვრებს სოფელს ლარში ლუკა მაზოს ძის მეტრევლის თავიანთ უფლებების წამოსადგენათ გარდაცვალებულის უძრავ ძოძრავ ქონებაზე იმ ვადაში რომელიც აღნიშნულია 1241 მუხ. მე X ტომისა ნაწ. 1 სამოქალაქო კანონისა. 513 1—1

სოხუმის უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობები, მიცემული გრიგოლ პლატონის ძე ნიკურაძის მიერ იასონ ნიკოლოზის ძე თურქიაზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან 1914 წელს იანვრის 11-ს, რეესტ. № 158 და 1916 წლ. მარტის 12-ს რეესტრი № 837, გაუქმებულია. 368 1—1

ქუთაისიის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ევგენი ბურშტეინის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს დროებითი მოწმობა, მიღებული ხარკოვის უნივერსიტეტიდან ივლისში 1919 წელში მედიკური ფაკულტეტიდან № 1313, სთხოვს მპოვნელს აღნიშნულ საბუთისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვლება. 579 1—1

ტფილისის გარე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბარბარე სტეპანეს ასულ გლუხოვსკაიას მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება სხენებულ გლუხოვსკაიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კანონთა კრებულის მე X ტომში 1 ნაწ. 1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში. 1179 1—1

1920 წლ. დეკემბრის 16-ს ქუთაისის ოლქ. სასამ. სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი გარდაცვალებულ მიხეილ გიორგის ძე აბესაძის. 0219 1—1

ბანძის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მ. ს. ს. წ. წ. და 1239 მ. კანონთა კრებ. X ტ. იწვევს მემკვიდრეებს უკვე გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფელის უშაფათის. სენაკის მაზრისა, ქუთაისის გუბერნიისა ანდრია გიორგის ძე, იგივე გრიგოლის ძის ხორავასა, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება ხორავას ქონებაზე. 533 1—1

ქალ. ტფილისის მე-6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ 22 ოქტომბერს 1908 წ. იზაკ იგივე ისაკ ცაკანას ძე საკიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება საკიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. ძე-X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში. 1406 1—1

დაიკარგა ატესტატი № 620 ილია ზეინალოვის სახელზე, მიღებული ტფ. 1-ლ კომერციულ სასწავლებლიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1601 3—1

დაიკარგა მოწმობა № 15553 პრაპორჩიკ ალექსანდრე სერგოს ძე პონდოევის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1576 3—1

დაიკარგა პასპორტი ელენე მიტროფანეს ასული იზოტოვას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1594 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა აფანასი გიორგის ძე ლარიონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 596 3—1

დაიკარგა პასპორტი იასონ გაბრიელის ძე ხოტივრის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1

დაიკარგა პასპორტი № 944 ნიკოლოზ მიტროფანეს ძე ნესინოვის სახელზე, მიღებული ალექსანდრეს ოლქის სამმართველოდან (ვორონეჟის გუბ.). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1600 3—1

დაიკარგა ქალთა მე-2 გიმნაზიის მე 9 კლასის დამთავრების და ფრანგული ენის მასწავლებლობის მოწმობები, მიღებული კავკასიის სამოსწავლო ოლქიდან, ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებლიდან და მეტრიკული მოწმობა, მიღებული ტფ. სინოდალურ კანტორიდან—ნეონილი დიმიტრის ასული ნაუმენკოს სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1575 3—1

დაიკარგა მინდობილობა, მიცემული ვასილი ბეჟანის ძე ჩაჩიბაიას მიერ ნაფიცი ვექილი მარკ პარლეს ძე შუკიანისადმი და დამტკიცებული ტფ. ნოტარიუსი მაჭავარიანის მიერ რეესტრით № 8535. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1585 3—1

დაიკარგა პასპორტი № 385 სოლომონ ნესტორის ძე კვირიკაძის სახელზე, მიღებული კულაშის თემის გამგეობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1

ქალ. ტფილისის მეხუთე უბნის მომრიგებელ მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სვიმონ დავითის ძე ანდრონიკაშვილის მემკვიდრეებს. რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე მეათე ტ. ნაწ. 1 1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში. 1480 1—1

ქალ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გადაცვალებულ ელისაბედ ტერ-ოვანესიანცის (იგივე ივანეს ასულს) დოლმაზიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ტერ-ოვანესიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხლ. ძალით დადგენილ ვადაში. 1526 1—1

ტფილისის მე-11 საბოქაულო უბნის სასამართლოს ბოქაული არგუთინსკი-დოლგორუკოვი აცხადებს, რომ 1920 წლ. ივნისის 3, დანიშნული აქვს საჯარო ვაჭრობა დილის ათ საათზე გარდაცვალებულ მარიამ ტიტიჩიანცის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას და ძვირფას ნივთებს. ქონება იყიდება გევორქ ათაბეგოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა მოხდება დილის ათ საათზე მერვე სამილ. უბანში, სურფკარაპეტის ხევში, ანნაზაროვის მამულში, № 3, სადაც მოთავსებულია მე-20, 21 და 22 უბნ. სასამართლო. მამული შეფასებულია 14435 მან. 1087 1—1

ქალ. ტფილისის მე-17 უბნ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბარბარე სიმონის ასული მაისურაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ბარბარე მაისურაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში. 1445 1—1

ქალაქ. ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკიტა ვასილის ძე პეროვსკის მემკვიდრეებს, რათა აღიარონ თავისი უფლება პეროვსკის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1402 1—1

13 ივნისს ტფილისის რკინის გზის სადგურზე ვიპოვე საფულე პატრონს ვსთხოვ მოიკითხოს ავქსენტი აბესაძესთან სამხედრო სამინისტროში. 1494 3—3

სოფელ ჩხარში მცხოვრებს მოქალაქე ივლიანე დიმიტრის ძე ზარნაძეს დაეკარგა ჩხარის მომრიგებელ მოსამართლისაგან მიღებული აღსრულებითი ფურცელი 1918 წლის № 412 ივანე სიმონის ძე შოთაძესთან ადგილის შესახებ დავისა. ფურცელი გაუქმებულად ითვლება ღღიდან ამ განცხადებისა. 652 3—3

ბესლან—ქუთაის—კოპიტნარის რკინის გზის ამხანაგობა აცხადებს, რომ ამხანაგობის ფაი № 105 ღირებული 3000 მინეთათ დაიკარგა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1493 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1506 კ. კ. ზენილოვას სახელზე მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერისაგან 1909 წ. თებერვლის 25-ს გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1470 3—3

დაიკარგა პასპორტი საკ ნიკიტას ძე ზურაბიანის სახელზე, მიღებული ჯალალოღლის საზოგადოების სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1533 3—3

დაკარგულია პასპორტი № 2429, მეტრიკული მოწმობა № 150 და სამხედრო ბეგრის მოწმობა № 375 არუთინ არაქელის ძე გრიგორიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1420 3—3

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 16073, მიღებული ტფილ. ოლქის სასამართლოდან ანნა რუდოლფის ასულის სიმონოვის სახელზე, რომელსაც ნიკოლოზ სიმონოვისთვის უნდა გადაეხდევინებია 6500 მ. მპოვნელს თხოვს დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: ახალქალაქი, მაზრის კომისარს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1446 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი 1919 წლის, ფეოდოსიის ქუჩა, № 20 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ს. ხუხუნაიშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1565 3—3

ხრესილის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 24 აპრილის 1920 წ. დადგენილებისა, იწვევს უკვე გარდაცვალებულ მცხ. სოფ. დაბაძველში, ქუთაისის მაზრისა, აპოლონ დიმიტრის ძე ცირეკიძის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ თავისი უფლება მის ქონებიზე 1241 მუხ. X ტ. 1 ნაწ. სამოქალაქო კანონთა კრებულის აღნიშნულ ვადაში. 518 1—1

ხრესილის უბნის მომრიგებელი მოსაართლე თანახმად თავის დადგენილებისა 1919 წლის 22 დეკემბრიდგან, იწვევს უკვე გარდაცვალებულ მცხოვრებ სოფ. კისორეთში ქუთაისის მაზრისა, ღვდლის ნესტორ ალექსის ძე ლომთაძის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ თვისი უფლება მის ქონებაზე 1241 მუხ. X ტ. I ნაწ. სამოქალაქო კანონთა კრებ. აღნიშნულ ვადაში. 517 1—1

სვირის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1241 მუხ. I ნაწ. სამოქ. კან X კრებ., იწვევს გარდაცვალებულის მცხოვრების სოფ. ძევრში. ქუთაისის მაზრისა, თა. დეოზ, იგივე ბიჭია, მერაბის ძე გოგლაშვილის მემკვიდრეობს რათა განაცხადონ თავიანთი უფლება გოგოლაშვილის ქონებაზე. 572 1—1

ახალციხის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ 29 აპრილს 1920 წ. ახალციხის ნოტარიუსის სტეფანე პავლეს ძე ხოჯევანოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებები სტეფანე პავლეს ძე ხოჯევანოვის ქონებაზე სამ. კან. კრებულის მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 505 1—1

სამხედრო სასამართლო 1920 წ. 9 ივნისის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით ეძებს ტფილისის მაზრ. დაბა ცხინვალის მცხოვრებს, ყოფილ მე-7 რაზმის ჯარისკაცს აბრამ შატაშვილს, 21 წლისას, რომელსაც იმავ სასამართლოს 1918 წ. 27 ნოემბრის განაჩენით მისჯილი აქვს დაპატიმრება სამოქალაქო სატუსაღოში ცალიერ პურზე და წყალზე შვიდი კვირის ვადით.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება შატაშვილი ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩა № 32, სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში. 1578 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი, გაცემული სამტრედიის თვითმართველობის მიერ 1914 წელს დიმიტრი ანთიმოსის ძე სიხარულიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1566 3—3

დაიკარგა მოწმობა № 5083 ისაკ აბრამის ძე გუნდიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1551 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 53 ალექსანდრე ვასილის ძე გროდსკის სახელზე, მიღებული ტფ. სამაზრო მილიციილის უფროსის სამმართველოდან 1918 წ., მეტრიკული მოწმობა და ქორწინების მოწმობა, მიღებული სამხედრო სობოროდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1556 3—3

სიმონ სპირიდონის ძე ესაძე აცხადებს რომ მან დაკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის სისხლ. და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მიერ 10 დეკემბერს 1857 წელს № 267 შესახებ სახლისა ეზოთი, მე-9 ნაწ. ქ. ტფილისისა რეუტოვის ქ. № 4, ნაყიდი ეკატერინე პეტრეს ასულის არღუთინსკი-დოლგორუკის მიერ ისაკ ეგორის ძე გურგინბეკოვისაგან, და პირი მფლობელობაში შესაყვან ქალაღდისა 26 აპრილიდან 1858 წ. № 1836 შესახებ ეკატერინე არღუთინსკი-დოლგორუკის ამ მამულის მფლობელობაში შეყვანისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1539 3—3

დაკარგულია ნამსახურობის სია კავკასიის ქალთა ყოფილ ინსტიტუტის მუსიკის მასწავლებლისა ანა გიორგის ასულ მაჩაბელისა მოცემული ამავე ინსტიტუტის გამგეობის მიერ გაუქმე. შულათ ჩაითვალოს. 1541 3—3

დაიკარგა პასპორტი ვაგარამ ნიკიტის ძე ჭაიფაჯიანცის სახელზე, მიღებული ახალციხის მაზრის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1481 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა პიმენ მიხეილს (იგივე ივანეს ძე) ასათიანის სახელზე, მიღებული ქუთაისის მაზრას სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1917 წ. 20 მაისს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1570 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 6786. შალვა იპოლიტეს ძე ალხაზიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებული ჩაითვალოს. 1572 3—3

ანნა გოგიევი (იგივე გოგიაშვილისა) აცხადებს, რომ ნასყიდობის სიგელი მიხეილ ილიას ძე გოგიევისა, ჩაწერილი ტფილისის უფროს ნოტარიუსის ქ. თელავზე მიწერილ სიმტკიცის წიგნში 1919 წ. № 17, გვ. 65—68, დაიკარგა რაიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1562 3—3

დაიკარგა ფულით დახმარების წიგნაკი № 34 მარიამ გიორგის ასული მაჩაბელის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1524 3—3

დაიკარგა პასპორტი № 177, მიღებული ბალაშოვის მაზ. (სარატოვის გუბ.) ერობიდან სტეფანიდა ნიკოლოზის ასულის სემბეროვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1472 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 669 მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან უმცროს მილიციელის სტანისლავ ვიკენტის ძე ბარანოვსკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1471 3—3

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 24 ივნისს დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ბუდკის, რომელიც მდებარეობს ალექსანდროვის ბაღში, შესამე უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაუუადღევის 1—2 საათამდე. 657 2—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.